ბენდუქიძეს უფრო დიდი გავლენა აქვს, ვიდრე ნოღაიდელს

გაზეთი “ახალი თაობა”, 6 აგვისტო, # 214, 2007

ინტერვიუ დეპუტატ **ლადო პაპავასთან**

- ბატონო ლადო, ხელისუფლება პრეზიდენტის ჩათვლით აცხადებს, რომ ქვეყანაში საინვესტიციო ბუმია. რამდენად თვალში საცემია ეს პროცესი და მართლა აბანდებენ თუ არა საქართველოში სერიოზული უცხოური ბიზნეს-ჯგუფები?

- საქართველოში რომ მართლაც ბუმია უცხოელების შემოსვლის, ეს სახეზეა. შემოდიან, თანაც შემოდიან ფულით, დღეს სხვადასხვა ფირმაა წარმოდგენილი საქართველოში, ისინი ყიდულობენ მიწებს, სხვადასხვა ობიექტებს, და ეს რეალობაა. რომ ვთქვათ, ბუმი ნამდვილად არის. ამ ბუმმა განაპირობა ფასების არნახული ზრდა. სინამდვილეში ეს ფასების ზრდა არ შეესაბამება იმ სირარიბის დონეს, რომელიც ქვეყანაშია. რაც შეეხება თქვენი კითხვის მეორე ნაწილს, თუ რამდენად სერიოზული ფირმები შემდიან, შემოდიან სერიოზული ფირმებიც, შემდოიან ისეთი ფირმებიც, რომელთა წარმომავლობა ხანდახან ეჭვს ბადებს, ან უბრალოდ უცნობი ფირმებია. მოგეხსენებათ, რომ სულ რამდენიმე დღის წინ გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ საქართველოში შემოდის ბრიტანული ბანკი ,,ეიჩ-ეს-ბი-სი”, რომელიც არის მსოფლიოში რიგით მეოთხე. ეს, რა თქმა უნდა, ზალიან ძლიერი, სოლიდური ბანკია, რომელიც გაჩნდება ჩვენს საბანკო სიცრცეში. თუმცა არის ისეთი ფირმები, რომელთა შესახებაც ხანდახან ინტერნეტშიც კი ვერ მოიძიებ რაიმე ინფორმაციას. პრობლემა, რაც დღეს ჩემი აზრით ყველაზე მთავარია, ისაა, თუ რამდენად გამჭვირვალედ ხდება ამ თუ იმ ობიექტის გაყიდვა. არც თუ ისე დიდი ხნის წინ მოგვილოცეს, რომ საქართველოში შემდის სასტომრო-ბიზნესის ერთ-ერთო ბრენდი “კემპინსკი”, რომელიც ყოფილი იმელის შენობას გადააკეთებს სასტუმროდ. კემპინსკის შემოსვლა მართლაც ყველასათვის მისასალმებელია, რადგან ის ძალიან სერიოზული ფირმაა. მართალია შემდოის კემპინსკი, მაგრამ ის თურმე არ ყოფილა ინვესტორი. იმელის შენობა მიეყიდა არა კემპინსკის, არამედ მიეყიდა ფირმა ,,კაპიტალ ვოსტოკს”. ეს კი რუსი მილიონრების მიერ საზღვარგარეთ დაფუძნებული ფირმაა და ასეთი ფირმები ძალიან ბევრია. მაშასადამე იმელის შენობის მესაკუთრეა ,,კაპიტალ ვოსტოკი”, რომელმაც იქ უნდა გააკეთოს სასტუმრო, რომლის ოპერატორიც შემდეგ გახდება კემპინსკი. სამწუხაროდ, თავიდანვე არავის უთქვამს, რომ ეს შენობა მიეყიდა რუსულ კომპანიას. ფაქტია, რომ სიმართლე ბოლომდე არ ითქვა. არ ითქვა, რომ კი შემდის “კემპინსკი”, მაგრამ იმელის შენობის მეპატრონე ხდება ,,კაპიტალ ვოსტოკი”. ასევე უნდა ითქვას, რომ თაბუკაშვილის 50-ში მცხოვრებლებს, როცა ეუბნებოდნენ ბინები დაცალეთო, არც კი იცოდნენ ვინ იყო ინვესტორი. ყველა ფიქრობდა, რომ ეს იყო “კემპინსკი”... პრობლემა თუ ვინ

შემოდის, ვინ ყიდულობს, მთავარი პრობლემეაა. ხშირად არ ხდება ამის გახმოვანება. მე ძალიან კარგად მახსოვს როგორი ზარზეიმით აღინიშნებოდა "კემპინსკის" შემოსვლა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის მხოლოდ ოპერატორი იქნება.

- რატომ ასაიდუმლოებს ხელისუფლება რეალურ ინვესტორთა ვინაობას?

- ვერ გეტყვით. ალბათ იმის გამო, რომ საზოგადოებაში ძალიან დიდი უარყოფითი მუხტია რუსეთთან მიმართებაში. ეს ობიექტურიც არის იმ შეცდომებიდან გამომდინარე, რომელიც რუსებმა სავსებით შეგნებით დაუშვეს საქართველოსთან მიმართებაში. რადგანაც საზოგადოებაში არის უდიდესი უარყოფითი განწყობა, მთავრობა ცდილობს, რომ ეს რაღაცნაირად შეალამაზოს. მოგეხსენებათ, რუსული კაპიტალი დღეს საკმაოდ მოქნილი გახდა: რუსები, როგორც წესი, აფუძნებენ საზღვარგარეთ სხვადასხვა ფიქრმებს და შემდეგ შემდიან კანადური, შვეიცარული, თუ ბრიტანული კომპანიების სახელით. თუმცა რეალურად ეს რუსული კაპიატლია. ვფიქრობ, ამ დამალვის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რათა საზოგადოება კიდევ უფრო არ გაღიზიანდეს. არაერთხელ მითქვამს იგივე თქვენი გაზეთის საშუალებით, რომ რუსების ოფიციალური დოქტრინა გახლავთ ის, რომ ააშენონ ლიბერალური იმპერია, ანუ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკები დაიპყრონ ხელახლა ეკონომიკურად და ეს უნდა გაკეთონ პრივატიზაციის პროცესში ობიექტების შესყიდვით. ამას ამჟამად რუსეთი საქართველოში უკვე ახორციელებს. მე ასევე არ გამოვრიცხავ, რომ ბევრი საეჭვო წარმომავლობის კომპანია საქართველოში შემოდის იმის გამო, რომ ხედავს საქართველოში ხდება ფასების ზრდა უძრავ ქონებაზე. აქედან გამომდინარე ცდილობს ჩადოს ფული უძრავ ქონებაში, გახდეს მესაკუთრე და გარკვეული დროის მერე ის კიდევ უფრო მომგებიანად გაყიდოს. სახეზეა სპეკულაციური საქმიანობა.

- ბატონო ლადო., ზოგიერთი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ საქართველოში შემოსული ე.წ. მუსულმანური კაპიტალი ქვეყნისთვის არის საშიში.

- ეკონომიკისათვის არანაირი მნიშნელობა არა აქვს თუ ვინ არის მესაკუთრე, ქრისტიანია ის, მუსლიმი, ქართველია, ინდუსი, სომეხი, თუ რუსი. აქ პრობლემა ისაა, თუ რამდენად ეფექტიანად გამოიყენება ეს ობიექტი. როგორც გითხარით, რომ აქ სპეკულაციური ეგფექტების საფრთხე არსებობს. რაც შეეხება იმას, თუ რომელი კაპიტალი რატომ შემოდის, მე უკვე გითხარით რუსული საფრთხის სესახებ. რუსებმა უკვე მოაქციეს სომხეთი ლიბერალურ იმპერიაში და საქართველოს მოქცევით შეიქმნება ერთიანი ეკონომიკური სივრცე. არანაკლებ საშიშია ის კაპიტალი, რომელიც ყაზახეთიდან შემოდის. ამაზე რატომღაც ნაკლებად არის ყურადღება გამახვილებული. საქმე ისაა, რომ რუსულ გეოპოლიტიკაში საკმაოდ ცნობილია სერიოზული მიმდინარეობა, რომელსაც ევრაზიანიამი ჰქვია. ევრაზიანისტების მიზანია შეიქნას ევრაზიული იმპერია, რაც იგივე

რუსული იმპერიაა. მას არ ერქმევა რუსეთი, თუმცა იმ ფარგლებში უნდა იყოს, რაც იყო საბჭოთა კავშირი. ის უნდა შეიქმნას ისევ რუსეთის მეთაურობით. უნდა გითხრათ, რომ ამ ევრაზიანიზმის ერთ-ერზთი მთავარი განმახორციელებელი და სულის ჩამდგმელი გახლავთ ყაზახეთის პრეზიდენტი. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი სერიოზული ინვესტიცია, დიდი ოდენობის თანხები რომელიც მოდის ყაზახეთიდან, და განსაკუთრებით სახელმწიფო კაპიტალი, ეს ემსახურება სწორედ ევრაზიული იმპერიის შექმნას. ჩვენ დღეს გავქვს ორი საფრთხე: ერთია რუსული, მეორე არის ყაზახური. ორივე ერთ თამაშს თამაშობს საბოლოო ჯამში ერთიანი იმპერიის შექმნა სურთ. Mრაც შეეხება სხვა ფაქტორებს, საფრთხეები საქართველოსთვის ძალიან ბევრია. ვინაიდან საქართველო ტერიტორიულად მცირე ზომის ქვეყანაა. აქედან გამომდინარე, მთელი რიგი სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაციისაგან თავს შევიკავებდი. ობიექტის სტრატეგიულობა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარეობს. ჩვენი მთავარი ამოცანაა საბოლოოდ თავის დაღწევა რუსეთის კლანჭებიდან. აქედან გამომდინარე ამ ეტაპზე ნამდვილად არ არის გამართლებული ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე სტრატეგიული ობიექტების პრივატიზაცია.

- თქვენ სტრატეგიულ ობიექტებს აღიარებთ, თუმცა კახა ბენდუქიძე ასეთ ობიეტქბს არ ცნობს. ალბათ სწორედ აქედან გამომდინარეოა, რომ სააკაშვილის ხელისუფლება უპრობლემოდ ყიდის იგივე „თბილწყალკანალს" და წყლის სათავე ნაგებობებს.

- ადრეც მითქვამს, ეკონომისტებისთვის სტრატეგიული ობიექტი არ არსებობს. სტრატეგიულობა ჩნდება ეროვნული უსაფრთხობიდან. ხოლო რას ახმოვანებს დღევანდელი სახელმწიფო მინისტრი და რას ემსახურება მისი ქმედება ყველასათვის კარგადაა გასაგები. მე მაინტერესებს, რა გველის ჩვენ და ჩვენს სამშობლოს. მიმაჩნია, რომ წყალთან დაკავშირებული ობიექტების პრივატიზაცია ეს გამოუსწორებელი შეცდომაა. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი, რომელიც ქვეყანას გააჩნია და დღეს აქ უცხოელების შემოშვება უდიდესი შეცდომაა.

- ფაქტია, რომ წყლის სათავე ნაგებობის მფლობელს იოლად შეუძლია დივერსიის მოწყობა. რამდენად ვიქნებით ამ პრივატიზაციის შემდეგ დაზღვეული ამგვარი საფრთხისაგან?

- ვერ გეტყვით რატომ წავიდა ხელისუფლება ამ ნაბიჯზე.

- როგორ შეაფასებდით სამთავრობო შენობების გაყიდვას? ეხლა დღის წესრიგში უკვე კანცელარიის შენობის გაყიდვის საკითხიც დადაგა...

- ქალაქგარეთ არსებული სამთავრობი დაწესებულებები ხშირად შეგვხვდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ხოლო აშშ-ში, ევროპული

სახელმწიფოების დედაქალაქებში კი სამინისტროები, როგორც წესი, ქალაქის ცენტრშია. მე ნამდვოლად გული მწყდება ისეთი სამთავრობო შენობების გაყიდვაზე, სადაც განთავსებული იყო სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სადაც საგარეო საქმეთა სამინისტრო უნდა გადასულიყო, და სადაც დღეს იუსტიციის სამინისტროა ჯერ-ჯერობით განთავსებული. რაც შეეხაბა კანცელარიის კორპუსს, მოგეხსენებათ ეს შენობა კომუნისტებმა, თავის დროზე ცენრალური კომიტეტისა და მისი აპარატის გასანთავსებლად ააშენეს. გონებამახვილმა თბილისელებმა მაშინ მას "ქაჯეთის ციხე" შეარქვეს და ამით გამოხატეს ანტიპათია არა მარტო იმის მიმართ იქ რაც ხდებოდა. ზემოხსენებული შენობების გასხვისების შემდეგ სულაც არ უნდა იყოს გულსატკენი ყოფილი "ქაჯეთის ციხის" პრივატიზაციაც!

- თქვენც საუბრობთ, რომ ქვეყანაში სერიოზული სოციალური პრობლემებია, თუმცა ამ ფონზე საკმაოდ წარმატებით ვითარდება სამშენებლო ბიზნესი...

- მოდით წარმატებულს ნუ ვიტყვით. ვთქვათ, რომ არის მთელი რიგი მშენებლობები, რომლებიც აშკარად გამოხატულად უხარისხოა. ზოგიერთი იმდენად აღმაშფოთებლად უხარისხოა, ასეთს კომუნისტებიც არ აშენებდნენ. ამ ფირმებს ჯერჯერობით არ დავასახელებ. თუ ადამიანს თავლები დათხრილი არა აქვს, შეხედოს ზოგიერთი კორპუსი რამდენად უხარისხოდ არის აშენებული. მაგრამ მართალია სამსერნებლო ბუმი არსებობს. ვინ დებს ამაში ფულს? - უმრავლესობა მაინც არის ის მდიდარი ქართველები და არაქართველები, რომლებიც საზღვარგარეთ საქმიანობენ, აგრეთვე ის უცხოელები, რომლებიც საქართველოსთან არიან დაკავშირებული საქმიანობით და ურჩევნიათ საკუთარ ბინებში იცხოვრონ, ვიდრე სასტუმროში. ეს პროცესი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ არ ვთვლი, რომ მას ექნება ხანგრძლივ ვადიანი სტაბილური განვითარების შესაძლებლობა, თუ საქართველოში რადიკალურად არ შეიცვალა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. გაჭირვებული ხალხი იმას ფიქრობს გაყიდოს სახლი და შედარებით ნაკლებ ღირებულში გადავიდეს.

- ბატონო ლადო, რა შეგიძლიათ თქვათ მერიის დადგენილებაზე, რომლიტაც ბოლო რვა თუ ათი წლის განმავლობაში არაერთ ფირმაზე დედაქალაქში დაკანონებული მიწის ფარტების კანონიერების გადასინჯვა უნდა მოხდეს? ფაქტია არაერთ მობინადრეს ემუქრება ქუჩაში დარჩენა.

- მე ეს არ მიკვირს. იცით რატომ? ის, რაც თაბუკაშვილის ქუჩაზე მოხდა იყო სრული განუკითხაობა. ამ ქმედებით უკვე ხალხი სრულადაა დაშინებული. ლოჯიები ისე დაინგრა, მათ შორის ისეთიც, რომელიც მართლაც დასანგრევი იყო, კაციშვილს ხმა არ ამოუღია. ხალხი დაშიენბული, დაბეჩავებულია. იციან, რომ მათ რაიმე პროტესტს არანაირი აზრი არა აქვს. ხოლო ის, რაც გამოითქვა მტელი რიგი კორპუსების მიმართ, ღრმად ვარ

დარწმუნებული, რომ ეს კორპუსები არ დაინგრევა. აქ ერთი მომენტია, იტყვიან, თუ გინდათ, რომ დაგიკანონოთ, ამაში გადაიხადეთ ფული. შემოსავლის ახალი წყარო გაჩნდება. ხალხი იძულებული გახდება გადაიხადოს, რათა არ დაუნგრიონ.

- ანუ ხელისუფლება ყველაფერზე მიდის იმისათვის, რომ საბიუჯეტო თანხები მოიზიდოს?

- მე არ ვიტყოდი, რომ ყველაფერზე მიდის. ფორმალურად ცდილობს რომ ესა თუ ის პროცესი კანონის ჩარჩოებში მოაქციოს. იურიდიულად რა როგორ არის გამართლებული, იურისტი არ ვარ და ვერ გეტყვით. ასეთ საკითხებს, მაგალითად, ახალგაზრდა იურისტები სწავლობენ. მერია იძახის, რომ მუნიციპალიტეტს უფლება არ ჰქონდა პრივატიზაციის, იურისტები იძახიან, რომ იმ დროს მოქმედი კანომდებლობით მუნიციპალიტეტს ამის უფლება ჰქონდა. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა ვინ არის მართალი. რომელ შემთხვევაში ჰქონია მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში, ვინ არის მართალი. მთავარია რას იტყვის მერია. როდის ყოფილა, რომ მერიას თავის სიტყვა ბოლომდე არ გაეტანოს. აქედან გამომდინარე, აქ აღარ არის საუბარი, ვინ არის მართალი და ვინ არის მტყუანი.

- თუ არა საბიუჯეტო პრობლემები, რაში უნდა აწყობდეს ხელისუფლებას რიგითი მოქალაქეების ასეთი ტერორი?

- არა, ეს ბიუჯეტის შევსების პრობლემა ნამდვილად არ გახლავთ.

- ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას ფული შემოაკლდა და ვადამდელი არჩევნებისთვის მაქსიმალურად ცდილობს თანხების ამოღებას.

- არა მგონია ვადამდელი არჩევნები ჩატარდეს. ეს, ჩემი ღრმა რწმენით, გამორიცხულია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, პრეზიდენტი არ მიიღებდა გადაწყვეტილებას, რომ პარლამენტს ვადა გაგრძელებოდა. პრეზიდენტმა კი თავისი ვადა რამდენიმე თვით შეამცირა. ასე, რომ ყოველგვარი ვადამდელ არჩევნებს გამოვრიცხავ. თანაც ამის თქმის საფუძველს მაძლევს ისიც, რომ არ იკვეთება ოპოზიციის გაერთიანების ნიშნები. არც საზოგადოების მხრიდან იგრძნობა დაკვეთა დაინიშნოს ვადამდელი არჩევნები. ამასთან არამგონია, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგად პარლამენტში სურათი შეიცვალოს ოპოზიციის სასარგებლოდ.

- ამას წინათ პრეზიდენტმა კახეთში გასვლით სამთავრობო სხდომაზე რეგიონში მიმდინარე პროცესები დადებიტად შეაფასა და მისი აღმშენებლობისთვის ისიც კი ბრძანა, რომ კახელებმა გენერალურ პროკურორს ძეგლი უნდა დაუდგანო. რა შუაშია გენერალური პროკურორი? საზოგადოებაში დარჩა აზრი, რომ ადეიშვილის უწყებამ

ადგილობრივ ბიზნესმენებს სერიოზული თანხები „შეაწერა” და ამით მოხდა რეგიონის რეკონსტრუქცია.

- სამწუხაროდ ეს გადაცემა არ მინახავს, მხოლოდ სხვებისაგან მოვისმინე ამის შესახებ. ამიტომ იმ განცხადებების კომენტარი გამიჭირდება, მაგრამ მოდი ობიექტურები ვიყოთ. კახეთის პროდუქტი - ღვინო უნდა გაიყიდოს. რუსეთის ემბარგომ ამას დიდი დარტყმა მიაყენა, თუმცა საქართველოს მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რომ „რთველი 2006” შემდგარიყო. სერიოზული გამოცდა კახეთს, უფრო ზუსტად კი მთლიანად ქვეყანას, მიმდინარე წლის შემდოგომაზე ელის. გასაგებია, რომ კონკრეტულ ფირმებს, ბანკებს აიძულებენ ყურძენი შეიძინონ, მაგრამ ეს ის ოდენობა არ იქნება, რაც კახეთში ღვინო უნდა დამზადდეს. გიმეორებთ, ის გადაცემა არ მინახავს, თუმცა პრეზიდენტის გამოსვლა არ მიკვირს, მან ყველა რეგიონს მხარი უნდა დაუჭიროს.

- დაბოლოს, ბატონო ლადო, არაერთხელ აღინიშნა ბოლო დროს, რომ პრემიერ მინისტრი თანამდებობას შეიცვლიდა. რამდენად მოსალოდნელია სამთავრობო კარუსელი და ვიხილავთ თუ არა ნოღაიდელს რომან გოცირიძის ადგილას? როგორც გამოიკვეთა ბენდუქიძე-ნოღაიდელის ტანდემი სერიოზულად უპირისპირდება რომენ გოცირიძეს.

- დღეს უკვე ნამდვილად არ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ მართლაც არის ტანდემი ბენდუქიძე-ნოღაიდელს შორის. აქამდე მეც ასეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა. უკვე აშკარად გამოიკვეთა, რომ ბენდუქიძის ზეგავლენა ბევრად მეტია ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე, ვიდრე ჩვენი პრემიერის. ნოღაიდელის შესაძლო გადაადგილების შესახებ ნამდვილად ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება ეროვნულ ბანკს, ჩემთვის მთავარი სხვა რამაა: დღეს მთავრობაში ეროვნული ბანკის დანგრევის პროექტი არსებობს. ამ პროექტის ერთ-ერთი ფრაგმენტი 2006 წლის გაზაფხულზე გაჟღერდა, როცა უნდოდათ საბანკო ზედამხედველობის გატანა ეროვნული ბანკიდან. მაშინ ეს ვერ მოახერხა მთავრობამ – მას ამაში პარლამენტმა შეუშალა ხელი. ხოლო დღეს კიდევ უფრო ფართომასშტაბიანი პროგრამა აქვთ მომზადებული, თუ როგორ შეუტიონ ეროვნულ ბანკს. აქ უკვე ლაპარაკი აღარ არის იმაზე, თუ ვინ იქნება ეროვნული ბანკის ხელმზღვანელი. მე ყველზე მეტად ეს მაშინებს. არ მინდა ამ გეგმაზე ჯერჯერობით უფრო დეტალურად ვილაპარაკო, რადგანაც ის ჯერ თვითონ მთავრობას არ გაუხმოვანებია.

- თუ ეს გეგმა განხორციელდა ლარს კუპონიზაცია ელოდება?

- არა, ლარს კუპონიზაცია არ ელოდება, ლარის პრობლემა კი არ დადგება ასეთ შემთხვევაში, საერთოდ ქვეყნის ყოფნა-არყოფნის პრობლემა დადგება. პრაქტიკულად სულ უფრო მკაფიოდ იკვეთება სქემა იმისა, რომ საქართველო რეალურად მოექცეს რუსეთის ზეგავლენის ქვეშ და

დამერწმუნეთ, პირველი, რაც გამოჩნდება, თუ მიაღწიეს ეროვნული ბანკის დაგნგრევას, აქ მოხდება არა ლარის კუპონიზაცია, არამედ მე ვიტყოდი ლარის რუბლიზაცია. ამაზეა ყველაფერი გათვლილი, გამიგეთ? მავანი და მავანი ამ გეგმას ამუშავებს სხვების გაუნათლებლობისა და ალბათ სიხარბის გამოც...

- გამოდის უნდა ვინატროთ, რომ რომან გოცირიძე რაც შეიძლება დიდხანს დარცეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტად.

- უნდა ვინატროთ, რომ რაც შეიძლება დიდხანს იყოს ეროვნული ბანკი. ეროვნული ბანკი უნდა იყოს ძლიერი ინსტიტუციონალური ერთეული და თანაც დამოუკიდებელი. ეროვნელ ბანკს სერიოზული მტრები ჰყავს. თუმცა იმ გეგმის განხორციელებას, რომელიც ჩაფიქრებულია საკონსტიტუციო ცვლილებებები სჭირდება. დიდი იმედი მაქვს, რომ ამ პარლამენტში ამას ვერ მოახერხებენ. შეიძლება ამ მოწვევის პარლამენტში ეროვნული ბანკი ამის გამო გადარჩეს.

შორენა კოწოწაშვილი